თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაციები

(2018 წლის 2 ნოემბერი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2016 წლის საპარლამენტო და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს, და
რეკომენდაციებით მიმართავს:

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გასულ ორივე საპრეზიდენტო კანდიდატსა და მათ მხარდამჭერ პარტიებს:

მოუწოდონ საკუთარ აქტივისტებსა და მხარდამჭერებს, თავი შეიკავონ ვერბალური ან/და ფიზიკური აგრესიისგან, ზეწოლისგან, ისევე, როგორც ნებისმიერი არაეთიკური ქმედებისგან, რათა არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანია და კენჭისყრის დღე წარიმართოს მშვიდ, თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს:

საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის თითოეულმა წევრმა გაითავისოს საკუთარი პასუხისმგებლობა, შეასრულოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებები და თავიდან აიცილოს პირველი ტურის კენჭისყრის დღეს მრავლად დაფიქსირებული შემთხვევები, როდესაც კომისიის ოპოზიციიდან წარდგენილი წევრები უარს ამბობდნენ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებაზე.